ინფორმაცია 2018 წელს ცაგერის უმწეოთა სასადილოების მუშაობის შესახებ

2018 წელს შემუშავებულ და საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა ბიუჯეტიდან სოციალური დახმარებების მიღებისა და გაცემის წესი (დადგენილება N3 17/01/2018წ). მუნიციპალიტეტში მოქმედებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო ერთჯერადი კვება, რომლის განხორციელებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 94987ლარი. წლის განში საშუალოდ ერთ ბენეფიციარზე იხარჯებოდა 2.19ლარი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა და დღესაც ფუნქციონირებს ორი უმწეოთა სასადილო: ქ. ცაგერში (80ბენეფიციარი) და სოფ. ლაჯანაში (36ბენეფიციარი). გასულ წელს უმწეოთა სასადილოები ემსახურებოდა 116 ბენეფიციარს. გაცემის წესის თანახმად 116 ბენეფიციარზე და 6 მომსახურე პერსონალზე გაიცა საშობაო და სააღდგომო საჩუქრები, რომლის მომსახურეობაზეც დაიხარჯა 1990 ლარი.

2018 წლის ბოლოს დასრულდა ქ. ცაგერში არსებული უმწეოთა სასადილოს კაპიტალური რემონტი, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ბენეფიციართა მომსახურეობას.

2019 წელს შემუშავდა და საკრებულოს სხდომაზე დამტკიცდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოც. დახმარებების მიღებისა და გაცემის წესი (დადგენილება N1 03/01/019წ). სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთჯერადი კვებისათვის ბიუჯეტიდან გამოიყო 44560ლარი, საშუალოდ ერთ ბენეფიციარზე 2.73ლარი (106 კალენდარული დღე 2019წლის 01 ივლისამდე). ერთჯერადი (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით) კვებით ისარგებლებს 118 ბენეფიციარი (80ბენეფიციარი ქ. ცაგერში, 38 ბენეფიციარი სოფ. ლაჯანაში), მათ შორის 24 ბენეფიციარს გაეწევა კვების მიწოდება ბინაზე, აუცილებლობის შემთხვევაში ბინაზე მიწოდებით კვების ორგანიზება განხორციელდება სხვა ბენეფიციარის მოთხოვნის შემთხვევაში.

მიმდინარე წლის გაცემის წესის თანახმადაც გათვალისწინებულია ბენეფიციარებსა და მომსახურე პირებზე საშობაო და სააღდგომო საჩუქრების გაცემა.

უმწეოთა სასადილოებში რეგულარულად ხორციელდება მონიტორინგი ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის და საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური კომისიის მიერ.